2024 წლის 27 ივნისს 14:00 საათზე გაიმართება სამეურვეო საბჭოს სხდომა

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებია:

1. მაუწყებლის გენ. დირექტორის მიერ სამეურვეო საბჭოს სახელზე გამოგზავნილ 2024 წლის 21 ივნისს N1154 სამსახურებრივ ბარათში აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება (საკითხი ეხება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შეუფერხებელი და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოველწლიურად აფორმებს ხელშეკრულებას შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრთან“ რადიო და ტელევიზიის პროგრამების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით მიწოდების და გავრცელების მომსახურების ექსკლუზიურად შესყიდვას, იმის გათვალისწინებით, რომ განსახორციელებელი შესყიდვის ღირებულება აღემატება საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის ერთ პროცენტს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30(1)-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ თანხმობას ზემოთ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებაზე და შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრთან“ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე);

2. მიმდინარე საკითხები.

სხდომა გაიმართება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობაში, კოსტავას ქუჩა N68-ში, სამეურვეო საბჭოს სხდომათა ოთახში.